Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

ცვლილება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 27 ივლისს №184 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში. ცვლილება შეეხო უცხოელი დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე დღგ-ის გამოანგარიშების, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების და მისი ინფორმირების წესს. ცვლილების თანახმად, უცხოელ დასაბეგრ პირს წარმოადგენს დასაბეგრი პირი, რომელიც არ არის დაფუძნებული ან ჩვეულებრივ არ ცხოვრობს საქართველოში ან საქართველოში არ გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება, რომელიც მონაწილეობს ციფრული მომსახურების გაწევაში.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე, დღგ-ის გამოანგარიშების და გადახდის ვალდებულება წარმოეშობა უცხოელ დასაბეგრ პირს, თუ მის მიერ გაწეული ციფრული მომსახურების გაწევის ადგილს წარმოადგენს საქართველო და ეს ოპერაცია არ იბეგრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლით გათვალისწინებული უკუდაბეგვრის წესით. მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულად ჩაითვლება, თუ:

ა) ფინანსური დაწესებულების (რომელშიც გახსნილია ანგარიში და გამოიყენება გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად) ან ელექტრონული ფინანსური საშუალებების ოპერატორის (რომლის საშუალებითაც ხდება გადახდა) ადგილსამყოფელი არის საქართველო;

ბ) მომსახურების მიმღების ადგილსამყოფელი არის საქართველო (ამასთანავე, მომსახურების მიმღებს წარმოადგენს მომსახურების შემძენი ფიზიკური პირი, რომელიც არ წარმოადგენს დასაბეგრ პირს ან წარმოადგენს დასაბეგრ პირს, თუმცა მის მიერ მიღებული მომსახურება არ უკავშირდება ამ დასაბეგრი პირის ეკონომიკურ საქმიანობას);

გ) მომსახურების მიმღების მიერ მომსახურების შესაძენად გამოყენებული მოწყობილობის ქსელური მისამართი (IP) მდებარეობს საქართველოში; ან

დ) მომსახურების შესაძენად/გადასახდელად გამოყენებული ქვეყნის სატელეფონო კოდი ეკუთვნის საქართველოს.

უცხოელი დასაბეგრი პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული ციფრული მომსახურების შედეგად დღგ-ით დასაბეგრი თანხა არის ციფრული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ მიღებული/მისაღები ანაზღაურება, დღგ-ის გარეშე.

საქართველოს ტერიტორიაზე ციფრული მომსახურების გამწევ უცხოელ დასაბეგრ პირს წარმოეშობა:

- გადასახადის გადახდის ვალდებულება აშშ დოლარში, ევროში ან ლარში, თავისი არჩევანით;
- საქართველოს ტერიტორიაზე ციფრული მომსახურების გაწევის აღრიცხვის ვალდებულება;
- საგადასახადო ვალდებულების სისწორის დადგენის მიზნით, სააღრიცხვო დოკუმენტაციის შენახვის ვალდებულება იმ წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში, რომელშიც გაწეული იქნა მომსახურება;
- შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე არსებული დღგ-ის პორტალის მეშვეობით, საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის

ვალდებულება, არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 20 რიცხვისა და გადაიხადოს გადასახადი არაუგვიანეს ამავე თვის ბოლო დღისა;

უცხოელი დასაბეგრი პირის მიერ შესაბამისი ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიაზე ციფრული მომსახურების გამწევი უცხოელი დასაბეგრი პირების ინფორმირების მიაზნით, ცვლილება ძალაში შედის 2021 წლის 1 ოქტომბრიდან.

ცვლილება დაკავშირებული პირად საგადასახადო მრჩეველის ინსტიტუტთან

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში 2021 წლის 21 ივლისს შესული ცვლილებით ინსტრუქციის თავი მე-5, რომელიც არეგულირებდა პირადი საგადასახადო მრჩეველის მიერ გადასახადის გადამხდელისათვის მომსახურების გაწევის პირობებს, ამოღებული იქნა. ამასთანავე დადგინდა, რომ ბრძანების ძალაში შესვლამდე არსებული ნორმები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ ბრძანების ძალაში შესვლის მომენტისათვის მოქმედ პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურების ხელშეკრულებებთან მიმართებაში, შესაბამისი ხელშეკრულებების მოქმედების ვადით.

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი

2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი და 26 კანონპროექტისაგან შემდგარი თანმდევი პაკეტი.

მიღებული კანონპროექტით ახლებურად წესრიგდება სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებასთან, ერთი პირის სამეწარმეო საზოგადოებასთან, შენატანებთან, სამეწარმეო საზოგადოების ორგანოებთან, ბუღალტრულ აღრიცხვასთან, ანგარიშგებასთან და აუდიტთან, ხანდაზმულობასა და გასაჩივრების ვადებთან დაკავშირებული, ასევე საკითხები.

მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი, საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისი ხელმოწერისა და გამოქვეყნების შემდეგ, ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად მითითებული თარიღიდან ძალადაკარგულად ცხადდება 1994 წლლის 28 ოქტომბერს მიღებული მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც მოძველდა და ვეღარ პასუხობდა თანამედროვე საკორპორაციო სამართლის მოთხოვნებს.

კანონით შემოთავაზებული სიახლეების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია ჩვენს 2021 წლის თებერვლის საკანონმდებლო სიახლეების მიმოხილვაში.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.